<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №44, 11.11.1997, გვ. 86) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი მონაცემები შეიტანება მისი შევსების თვის პირველ რიცხვამდე მდგომარეობით, შემოსავლები – დეკლარაციის შევსების წლის წინა წლის მდგომარეობით, ხოლო საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიშები ან/და შენატანები, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს თანამდებობის პირს ან მისი ოჯახის წევრს შევსების თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მონაცემები თანამდებობის პირის ან მისი ოჯახის წევრის საკუთრებაში არსებული ნაღდი ფულადი თანხის შესახებ, რომლის ოდენობაც აღემატება 4 000 ლარს, შეიტანება დეკლარაციის შევსების დღის მდგომარეობით.“.

2. 18[1] მუხლის:

ა) მე-11 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის არსებობის შესახებ.“.

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 13[1] პუნქტი:

„13[1]. ამ მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არაარსებითი დარღვევის არსებობის შესახებ ბიურო გადაწყვეტილებას იღებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში შემდეგი ცდომილებების არსებობის შემთხვევაში:

ა) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შემთხვევაში დეკლარაციაში საცხოვრებელი ფართის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართის 20%-ს, მაგრამ არაუმეტეს 40 კვ.მ.-ს; არასაცხოვრებელი ფართის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართის 20%-ს, მაგრამ არაუმეტეს 20 კვ.მ-ს; არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფართის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართის 10%-ს მაგრამ არაუმეტეს 100 კვ.მ.-ს; სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთის ფართის ცდომილება არ აღემატება რეგისტრირებული ფართის 20%-ს მაგრამ არაუმეტეს 500 კვ.მ.-ს; უძრავი ქონება შეცდომით მითითებულია თანამდებობის პირის ოჯახის სხვა წევრის საკუთრებად ან/და თავად თანამდებობის პირი არის მითითებული იმ ქონების მესაკუთრედ, რომელის მესაკუთრეც თანამდებობის პირის ოჯახის წევრია, ასევე არასწორად არის მითითებული ინფორმაცია თანამესაკუთრესთან დაკავშირებით;

ბ) საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიშის ან/და შენატანის შემთხვევაში, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს პირს ან მისი ოჯახის წევრს არსებული ნაშთის/ნაშთების გრაფაში ჯამური ცდომილება ფიქსირდება არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით (დადებითი თუ უარყოფითი ბალანსი); არ არის დეკლარირებული საქართველოს ან სხვა ქვეყნის საბანკო ან/და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში არსებული ანგარიში ან/და შენატანი, რომლის განკარგვის უფლებაც აქვს პირს ან მისი ოჯახის წევრს, თუმცა ვლინდება, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იგი არამოქმედია და მასზე ბრუნვა ან სხვა სახის საბანკო ტრანზაქცია არ განხორციელებულა ან ფიქსირდება ბრუნვა მაგრამ არაუმეტეს 100 ლარისა;

გ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობაში პირის, მისი ოჯახის წევრის პირდაპირი მონაწილეობის და არაპირდაპირი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციაში არ არის ასახული საწარმო, რომელშიც თანამდებობის პირი, მისი ოჯახის წევრი მონაწილეობს პირდაპირ ან/და არაპირდაპირ და რომელიც არ ფუნქციონირებს დეკლარაციის შევსების თარიღამდე 5 ან მეტი წელი;

დ) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაოს შემთხვევაში დეკლარაციაში დაფიქსირებულ ანაზღაურებასა და რეალურ მონაცემებს შორის ცდომილება არის არაუმეტეს 500 ლარისა;

ე) საქართველოში ან სხვა ქვეყანაში თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების შემთხვევაში ხელშეკრულების მატერიალური შედეგი აღმოჩენილი ცდომილება მატერიალური შედეგის დაანგარიშებაში არ აღემატება 1000 ლარს.“.

3. მე-20 მუხლის:

ა) 1^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. ამ კანონის 18^1 მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირი ჯარიმდება თანამდებობრივი სარგოს 25%-ით, მაგრამ არანაკლებ 500 ლარისა, რის შესახებაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება.“.

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

„1^2. ამ კანონის 18^1 მუხლის მე-11 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანამდებობის პირს ეძლევა გაფრთხილება, რის შესახებაც გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – განკარგულება.“.

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. გაფრთხილების შესახებ განკარგულებას გამოსცემს ბიუროს უფროსი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. თანამდებობის პირის მომდევნო მონიტორინგის პროცესში, დეკლარაციაში არა არსებითი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში ბიუროს მიერ მიიღება ამ კანონის 18^1 მუხლის მე-11 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი